საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/925
14.08.2025

ბრძანება

925-01-4-202508141658

შპს „თეგეტა მოტორსის“ (ს/ნ 202177205) მიერ შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ 404920289) საკონტროლო პაკეტის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8^1 მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება შპს „თეგეტა მოტორსის“ (ს/ნ 202177205) მიერ შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ 404920289) საკონტროლო პაკეტის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;

2. შპს „თეგეტა მოტორსის“ (ს/ნ 202177205) მიერ შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ 404920289) საკონტროლო პაკეტის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „თეგეტა მოტორსის“ (ს/ნ 202177205) მიერ შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ 404920289) საკონტროლო პაკეტის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2025 წლის 18 ივლისის N01/4338 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „თეგეტა მოტორსსა“ (ს/ნ 202177205) და შპს „I GPS ოპერატორს“ (ს/ნ 404920289) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და მხარემ სააგენტოში წარმოადგინა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.[1]

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2024 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

<u>შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა:</u>

- კონცენტრაციაში მონაწილე პირთა ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტების სია და შესაბამისი კავშირების ამსახველი დიაგრამა;
- ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე პირთა პროდუქციის ასორტიმენტის, მათი ძირითადი მიმწოდებლებისა და შემსყიდველების შესახებ 2024 წლისათვის.

<u>ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:</u>

არსებული მონაცემებით, შპს „თეგეტა მოტორსის“ 1.22%-იანი წილის მფლობელი და პარტნიორია ფ/პ თემურ კოხოძე (პ/ნ), ხოლო დარჩენილ 98.78%-ს ფლობს შპს „თი ჯი ემ ჯგუფი“ (ს/ნ 405347058). თავის მხრივ, შპს „თი ჯი ემ ჯგუფის“ 92.1%-იანი წილის მფლობელია ფ/პ

[1] შპს „თეგეტა მოტორსის“ 2025 წლის 23 ივლისის N 01/4400 წერილი.

თემურ კოხოძე (პ/ნ), 3.95%-ის მესაკუთრეა მარინე მუმლაძე (პ/ნ), ხოლო ფ/პ გიორგი მშვილდაძე (პ/ნ) ფლობს აგრეთვე 3.95%-ს.

რაც შეეხება შპს „I GPS ოპერატორს“, მისი 100%-იანი წილის მესაკუთრეა ფ/პ დავით მუმლაძე (პ/ნ).

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:

შპს „თეგეტა მოტორსი“ ფლობს შპს „თეგეტა ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 206211936) 100%-იან წილს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შპს „თეგეტა რენტალსის“ (ს/ნ 454412305) 100%-იანი წილის მფლობელ კომპანიას.

როგორც სააგენტოში წარმოდგენილ შეტყობინებაშია მითითებული, კონცენტრაციაში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებიდან კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე საქმიანობს მხოლოდ შპს „ჯიპიეს ჯორჯია“ (ს/ნ 404400206), რომლის 100%-იანი წილის მფლობელი კომპანიის, შპს „ბეილიშ ჰოლდინგსის“ (ს/ნ 402064494), საკონტროლო პაკეტის შეძენასაც ასევე გეგმავს შპს „თეგეტა მოტორსი“, თუმცა ეს კონცენტრაცია ცალკეულად არ წარმოშობს სააგენტოსათვის წინასწარი შეტყობინების ვალდებულებას. ამასთან, შპს „ბეილიშ ჰოლდინგსის“ 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ფ/პ გიორგი ჩუგოშვილი, რომელიც ასევე არის შპს „თეგეტა რენტალსის“ გენერალური დირექტორი.

კონცენტრაციაში მონაწილე პირები ასევე უთითებენ, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან წილები არ შეუძენიათ.

კონცენტრაციის ფორმა:

განსახორციელებელი კონცენტრაციის ფორმა არის წილის შეძენის გზით ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვება, კერძოდ, შპს „თეგეტა მოტორსი“ აპირებს შეიძინოს შპს „I GPS ოპერატორის“ საკონტროლო პაკეტი.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს შპს „თეგეტა მოტორსის“ ბიზნეს საქმიანობის გაფართოებისა და ახალი მომსახურებების/პროდუქტების შეთავაზების ფარგლებში, შეიქმნას ახალი მიმართულება - „თეგეტა ბიზნესი“, რომელიც საგანგებოდ ბიზნეს-მომხმარებლებზე იქნება ორიენტირებული და მიზნად დაისახავს კორპორაციული მომხმარებლებისთვის გასაწევი სერვისის კიდევ უფრო მეტად განვითარებას.

„თეგეტა ბიზნესის“ პირველი ახალი პროდუქტი - „Fleet Management” განკუთვნილია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის, რომლებიც ფლობენ, მართავენ ან საჭიროებენ მსუბუქ, სატვირთო, სამშენებლო თუ სპეციალური დანიშნულების ტექნიკას და სურთ ოპერაციული ხარჯების შემცირება და ავტოპარკის ეფექტიანი მართვა.

ახალი მიმართულების მიზანია გაამარტივოს, დააჩქაროს, ხარჯთეფექტური გახადოს და გააუმჯობესოს კორპორაციული ავტოპარკის მართვის პროცესები სრულყოფილი „Fleet Management” სერვისის მიწოდებით, რომელიც მოიცავს ავტოპარკის სრულ ტექნიკურ მომსახურებას, გამართულობის კონტროლსა და მონაცემებზე დაფუძნებულ ანალიტიკას, რაც ასევე გულისხმობს

საავტომობილო პროდუქტებთან მიმართებით ბაზარზე საუკეთესო ფასებისა და ავტოპარკის მართვის სრულიად ახალი და ინოვაციური გამოცდილების შეთავაზებას.

ახალი შეთავაზება ითვალისწინებს ორ ძირითად მიმართულებას: ა) ბიზნეს სუბიექტების საკუთრებაში არსებული ავტოპარკის სრული ტექნიკური და პროგრამული მომსახურება; ბ) ბიზნეს სუბიექტებისათვის, „თეგეტას“ საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით სრული საავტომობილო მომსახურების მიწოდება, რაც კომპანიებს მისცემს შესაძლებლობას საკუთარი ავტოპარკის შეძენის საჭიროების გარეშე მიიღონ სრულყოფილი საავტომობილო მომსახურება.

„Fleet Management” მომსახურების სრულყოფილად უზრუნველყოფისა და სრულფასოვანი სერვისის ერთ-ერთი კომპონენტია ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების მონიტორინგი და შესაბამისი მონაცემების ანალიზი/რეპორტინგი. შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების GPS სისტემებით აღჭურვა და ტექნიკური მხარდაჭერა არის აპრობირებული ინსტრუმენტი თანამედროვე ავტოპარკების მართვის პროცესში.

კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ, 24 თვის განმავლობაში იგეგმება შპს „ბეილიშ ჰოლდინგსისა“ და შპს „I GPS ოპერატორის“ ეკონომიკური საქმიანობების განვითარება, მათი ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესება. ასევე, შპს „I GPS ოპერატორისა“ და შპს „ჯიპიეს ჯორჯიას“ პროდუქციის/მომსახურების შპს „თეგეტა მოტორსის“ ახალი შეთავაზების/სერვისების („Fleet Management”) პროცესში ინტეგრაცია.

მხარეთა მოსაზრებით, კონცენტრაციას არ გააჩნია რაიმე სახის უარყოფითი ეფექტი, იგი არ მოახდენს გავლენას შესაბამის ბაზარზე, ვინაიდან ტრანზაქცია არ გამოიწვევს ბაზარზე არსებული მდგომარეობის არსებით ცვლილებას. შეტყობინებაში მითითებულია, რომ დღეის მდგომარეობით თავად შპს „თეგეტა მოტორსი“ არ ახორციელებს იმ საქმიანობას და არ აწვდის იმ სერვისებს, რომლებსაც წევენ შპს „I GPS ოპერატორი“ და შპს „ჯიპიეს ჯორჯია“, შესაბამისად, იგი არ არის წარმოდგენილი შესაბამის ბაზარზე.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც, კერძოდ, მითითებულია, რომ მხარე ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიიჩნევს GPS მოწყობილობების იმპორტის გზით შეძენასა და რეალიზაციას, მოწყობილობების მონტაჟს, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გააქტიურებას, სისტემაში ჩართვასა და მის შემდგომ მონიტორინგს. რაც შეეხება კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს, შეტყობინებაში მითითებულია, რომ მხარეთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, ასეთად უნდა განისაზღვროს ეროვნული დონე - საქართველოს ტერიტორია. რაც შეეხება დროით ჩარჩოს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ბაზარს არ გააჩნია, ვინაიდან, საქმიანობა არის მუდმივი.

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რამაც მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- შპს „თეგეტა მოტორსი“ ავტოინდუსტრიის ბაზარზე ახალი პროდუქტის მიწოდებას იწყებს და GPS სისტემების მონტაჟი და თანმხლები სერვისი, დიდი პროექტის ერთ-ერთი მცირე, მაგრამ საჭირო კომპონენტია;
- შპს „თეგეტა მოტორსი“ არც თავად და არც მისი შვილობილი თუ დაკავშირებული კომპანიები არ ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე. ისინი მხოლოდ საკუთარი ავტოპარკის მართვის მიზნით, როგორც მომხმარებლები სარგებლობენ GPS სისტემებით;

- ბაზრის მოცულობის შეფასებისას გასათვალისწინებელია კომპანიების საქმიანობის შინაარსი, რომელიც შედგება ერთი მხრივ, GPS მოწყობილობების იმპორტის გზით შეძენისა და რეალიზაციის, ასევე მათი მონტაჟის, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გააქტიურების, სისტემაში ჩართვისა და შემდგომი მონიტორინგისაგან. აღნიშნულ ბაზარზე, ამ საქმიანობის სხვადასხვა ელემენტების ნაწილში წარმოდგენილია არაერთი კომპანია.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის

გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;

5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;

7. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;

8. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების

განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;

9. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
11. კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული

ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[2]

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, სამიზნე კომპანია დაკავებულია GPS მოწყობილობების რეალიზაციით, GPS მონიტორინგის სისტემის აპარატებისა და მომსახურების მიწოდებით, ასევე ამ მოწყობილობების მონტაჟით, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გააქტიურებითა და სისტემაში ჩართვის შემდგომი მონიტორინგით.

შესაბამისად, სამიზნე ეკონომიკური აგენტის საქმიანობის სპეციფიკიდან და მისი პროდუქციის ასორტიმენტიდან გამომდინარე, განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად მიჩნეულ იქნა GPS და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების რეალიზაცია, ასევე ამ მოწყობილობების მონტაჟსა და შემდგომ მონიტორინგთან დაკავშირებული სერვისების მიწოდება დამატებითი ქვეკატეგორიზაციის გარეშე.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, განსახილველი კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

ვინაიდან, პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამის ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

[2] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

ბაზრის ანალიზის ფარლგებში შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსისა და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ 2024 წლის განმავლობაში შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების იდენტიფიცირებისათვის ინფორმაცია გამოითხოვა სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან.[3] სააგენტომ ბაზრის ანალიზის პროცესში გამოიყენა საქსტატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმ ეკონომიკური აგენტების შესახებ, რომლებიც 2024 წელს დაკავებულნი იყვნენ GPS მოწყობილობების რეალიზაციით, GPS მონიტორინგის სისტემის აპარატებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებით, ასევე ამ მოწყობილობის მონტაჟით, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის გააქტიურებითა და სისტემაში ჩართვის შემდგომი მონიტორინგით. ამასთანავე, ბაზრის ანალიზის პროცესში სააგენტო დაეყრდნო სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მონაცემებს. რაც შეეხება იმპორტის დონეს, ბაზრის მოცულობის, მასზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 წელს GPS და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების იმპორტის შესახებ.[4] მიღებული ინფორმაციის[5] მიხედვით დადგინდა შემდეგი:

GPS და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების იმპორტი - 2024 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **523**[6];
- ბაზრის მოცულობა - **39 488 597** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **132.8;**
- შპს „I GPS ოპერატორის“ საბაზრო წილი - **%**;
- შპს „თეგეტა მოტორსის“ საბაზრო წილი - **%**.

---

[3] სააგენტოს 2025 წლის 24 ივლისის N 02/3279 წერილი.

[4] სააგენტოს 2025 წლის 24 ივლისის N 02/3280 წერილი.

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - საქსტატის 2025 წლის 30 ივლისის N 5-1740 წერილი (სააგენტოში რეგ. N01/4528); შემოსავლების სამსახურის 2025 წლის 31 ივლისის N21-10/56388 წერილი (სააგენტოში რეგ. N01/4573).

[6] მხედველობაში იქნა მიღებული ის სუბიექტები, რომელთა პროდუქციის წლიური ჯამური საიმპორტო ღირებულება 5 000 ლარი და მეტი იყო.

ამდენად, ბაზარი დაბალკონცენტრირებულია, მასზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რიცხვი კი საკმაოდ დიდია. თავის მხრივ, სამიზნე კომპანიის, შპს „I GPS ოპერატორის“ საბაზრო წილი მცირეა. გარდა ამისა, საკმაოდ დაბალია თავად შპს „თეგეტა მოტორსის“ საბაზრო წილიც. შესაბამისად, დაბალია ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელიც (ΔHHI) და იგი შეადგენს **2.5**-ს - HHI **132.8**-დან მხოლოდ **135.3** -მდე გაიზრდება.

GPS და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების რეალიზაცია, მათ მონტაჟსა და შემდგომ მონიტორინგთან დაკავშირებული სერვისების მიწოდება - 2024 წელი:

- ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა - **1194**;
- ბაზრის მოცულობა - **2 181 758 521.2** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **990.4;**
- შპს „I GPS ოპერატორის“ საბაზრო წილი - **%**;
- შპს „ჯიპიეს ჯორჯიას“ საბაზრო წილი - **%**.

ბაზარი დაბალკონცენტრირებულია, მასზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, ხოლო სამიზნე კომპანიის, შპს „I GPS ოპერატორის“ საბაზრო წილი ძალიან მცირე. ამასთან, შპს „თეგეტა მოტორსი“ და მასთან შეტყობინების განხილვის დროისათვის დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები არ არიან წარმოდგენილნი შესაბამის ბაზარზე. თუმცა, რადგან სააგენტოსათვის ცნობილია, რომ გარდა განსახილველი კონცენტრაციისა, შპს „თეგეტა მოტორსი“ ასევე გეგმავს კონტროლი მოიპოვოს შპს „ჯიპიეს ჯორჯიაზეც“, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია, შეეფასებინა ორივე ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვების შემთხვევაში ბაზარზე რა მდგომარეობა შეიქმნებოდა. შედეგად, გამოვლინდა, რომ ძალიან მცირეა შპს „ჯიპიეს ჯორჯიას“ საბაზრო წილიც, შესაბამისად, ფაქტობრივად ნულოვანი იქნება ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის ცვლილების მაჩვენებელიც (ΔHHI).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა მხოლოდ ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, ხოლო თუ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, მიიღება გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, კონკრეტულად კი შეფასებული ბაზრების სტრუქტურის, აგრეთვე, კონცნეტრაციის მონაწილე მხარეებისა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გათვალისწინებით, განსახორციელებული კონცენტრაცია არ მოახდენს არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „თეგეტა მოტორსის“ (ს/ნ 202177205) მიერ შპს „I GPS ოპერატორის“ (ს/ნ 404920289) საკონტროლო პაკეტის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად

არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.